სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის

ბრძანება №18

2024 წლის 12 ივნისი

ქ. თბილისი

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიერ სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2022 წლის 7 ივნისის №10 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლის მიერ სამსახურის გავლის წესის შესახებ“ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის 2022 წლის 7 ივნისის №10 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 07/06/2022, სარეგისტრაციო კოდი: 080240000.79.092.016010) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და გავლის წესის

1. 37-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების მიმართ შესაძლებელია მიღებულ იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:

ა) უმცროს გამომძიებლად დანიშვნის შესახებ;

ბ) სტაჟირების ვადის გაგრძელების შესახებ;

გ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ რეგისტრირდებიან სტაჟიორ-გამომძიებელთა რეესტრში.“.

2. 38-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტაჟიორ-გამომძიებელთა რეესტრში არაუმეტეს 3 წლის ვადისა, შეიყვანება სტაჟიორ-გამომძიებელი, რომელმაც წარმატებით გაიარა სტაჟირება სამსახურში და არ აქვს სტაჟირების ვადა გაგრძელებული.“.

3. 48-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 48. სამსახურის თანამშრომლის შვებულება“.

4. 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურის უფროსის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილის, ასევე სამსახურის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა არის 30 კალენდარული დღე.“.

5. ამოღებულ იქნეს 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

6. 48-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია შვებულების შეწყვეტა და სამსახურის თანამშრომლის გამოძახება სამსახურის გასაგრძელებლად.“.

7. 51-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ წესის 50-ე მუხლის „გ“ – „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წახალისების ფორმები გამოიყენება სამსახურის უშუალო უფროსის ან ზემდგომი თანამდებობის პირის წარდგინებით, მოსამსახურის დახასიათებით, კონკრეტული, დასაბუთებული დამსახურებისა და დატვირთვის მითითებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი	**კარლო კაციტაძე**